რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 16 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 57 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 57

# შეწყდა ხოცვა-ჟლეტა

## დამყარდა დროებითი ზავი

### ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ფრონტზე

**გაუმარჯოს საერთო ზავს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!**

## პირველი ნოემბრიდან გაზეთი
## ბრძოლა
## გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 2 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

## რას სჩადიან?

ქართულმა ეროვნულმა საბჭომ გადასდგა მეტათ საბედისწერო ნაბიჯი, რომელსაც შეუძლია სრულიათ დალუპოს ქართველი ხალხი.

მან მიმართა ქართველ მხედრობას—სალდათებს და აფიცრებს და მოუწოდებს მათ დასტოვონ ფრონტი, როგორც კავკასიაში, ისე რუსეთში და საქართველოსკენ გამოეშურონ. ეროვნულ საბჭოს საჭიროთ მიაჩნია „ძლევამოსილი და გაწვრთნილი ქართველი ჯარის შედგენა“, და ამ მიზნით ის ურჩევს მას გაატიტვლოს რუსეთის ფრონტი და მასში სრული დეზორგანიზაცია შეიტანოს.

ამას სჩადის საბჭო იმ დროს, როდესაც რუსეთის მთელ ფრონტზე დროებითი ზავი დამყარდა და მოლაპარაკება სწარმოებს მტკიცე ზავის შესახებ. ამ დროს ფრონტის დასუსტება ნიშნავს მოწინააღმდეგე მეომარი მხარის გაძლიერებას და ზავის კამპანიის ჩაფუშვას, მით უმეტეს, რომ პირობის ძალით არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, სანამ მოლაპარაკება გრძელდება, ჯარის ნაწილები ფრონტიდან მოხსნას. ეროვნული საბჭო ამას არავითარ ანგარიშს არ უწევს, ის ფეხით სთელავს რუსეთის ფრონტის ინტერესებს და ისეთი სისწრაფით მოუწოდებს ქართველ სალდათ-ოფიცერს,—საქართველოს მოამაგეთო,—თითქო ზავი უკვე დამყარებული იყოს და ქვეყანას არსაიდან საფრთხე არ მოელოდეს.

ეს ღალატია რუსეთის ფრონტის, ღალატია რუსეთის რევოლიუციის; ეს თავდასხმაა რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობაზე, რომელიც მედგრათ აწარმოებს ზავის საქმეს, მიუხედავათ იმისა, რომ ის გარშემორტყმულია რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებით და მსოფლიო იმპერიალისტებით. ამ იმპერიალისტთა უსინიდისო ლაშქარს დღეს ემატება ქართული ეროვნული საბჭოც.

რევოლიუციის მოღალატე ვერ დაიცავს ქართველ ერსაც, პირიქით იგივე ღალატი აქაც გამეორდება. მოწოდებაში ნათქვამია, რომ საბჭოს ნაბიჯი ნებადართულია კავკასიის ფრონტის მთავარსარდალისგან. რა ენაღვლება კონტრ-რევოლიუციონერ პრჟევალსკის, თუ სულაც დაიღუპება მუშების და გლეხების დღევანდელი რუსეთი? რა ენაღვლება მას, თუ ეს ნაბიჯი გამოიწვევს შუღლს და განხეთქილებას ქართველ და რუს სალდათებს შორის, რასაც შეიძლება სულ ადვილათ მოყვეს საშინელი სისხლის ღვრა? „ბალშევიკების აგიტაციის წყალობით ფრონტი ჯარისაგან იცლებაო“—აშკარათ ატყუებენ ისინი ხალხს და განაგრძობენ თავის ბნელ საქმეებს. დღეს ბრმაც კი ხედავს, რომ სწორეთ თქვენი პოლიტიკის და პრჟევალსკის წყალობით იცლება ფრონტი და ბალშევიკების წყალობით არის, თუ კიდევ რამე წესრიგი არსებობს იქ. როდესაც ასეთ ნაბიჯზე გიანხმდებათ, რა გარანტიას გაძლევთ პრჟევალსკი, რომ მთელ საქართველოს ის შავრაზმულ აგიტაციის მსხვერპლათ არ გახდის. რას ეუბნებით ქვეყანას, როდესაც კავშირს სწყვეტთ რევოლიუციონურ რუსეთთან და ოსმალეთის ფრონტს ქართველი ჯარების ამარა სტოვებთ? რისთვის ფუშავთ რუსეთში დაწყებულ ზავის კამპანიას, ან რა ძალით უმაგრდებით ოსმალეთის მოზღვავებულ ჯარს?

მაგრამ განა მარტო ოსმალეთიდან მოგველინება საფრთხე? თქვენი ბრმა პოლიტიკის წყალობით ჩვენ რუსეთიდან მოწყვეტილი, ოთხივე კუთხიდან დაგვჭირდება თავდაცვა. გავამაგროთ საზღვრები, დავიჭიროთ დარიალის ხეობა, დავაყენოთ იქ ჩვენი მცველები, ავაშენოთ ციხე სიმაგრეები და ვიყოთ მუდამ ომის სამზადისში, ან მუდამ ომის ცეცხლში გახვეულნი! რისთვის ატეხთ თავზე ხალხს ამდენ უბედურებას?

მხოლოთ იმიტომ, რომ როგორმე ავნოთ რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობას, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს თქვენს ეროვნულ თვითგამორკვევას. სახალხო კომისარმა ჯუღაშვილმა ნება დართო ნაციონალურ პოლკების შედგენისა. მათი გადაყვან-გადმოყვანაც შესაძლებელი იქნებოდა, მხოლოთ ეს უნდა მომხდარიყო შეთანხმებით, საერთო გეგმით, ზავის ინტერესების დაცვით და არა ისე თვით-ნებურათ და ანარქისტულათ, როგორც თქვენ ამას სჩადიხართ პრჟევალსკისთან შეთანხმებით. თქვენ პრჟევალსკისთან კურკური გირჩევნიათ სახალხო კომისარების საბჭოსთან შეთანხმებას. თქვენ უკრაინის რადას გზას დაადექით, რომელმაც ფრონტის დეზორგანიზაციით და რევოლიუციის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლით იქამდე მიიყვანა საქმე, რომ რევოლიუციონურმა რუსეთმა მას ომი გამოუცხადა, თქვენ მოგწონთ რადას საქციელი, თქვენ ქმნით საკუთარ რადას ქართველი ხალხის საუბედუროთ.

ჩვენ მივმართავთ ქართველ მშრომელ ხალხს—მუშებს, სალდათებს და გლეხებს—და საქვეყნოთ ვეუბნებით: ქართული ეროვნული საბჭოს პოლიტიკა დამღუპველია ქართველი ხალხისათვის. ის ებრძვის რუსეთის რევოლიუციას, სთესავს შუღლს ხალხთა შორის და მით უდიდეს საფრთხეს უმზადებს ქართველ ხალხს.

ქართველ ხალხს არავითარი საბუთი არა აქვს უნდობლათ მოეპყრას რუსეთის რევოლიუციას. ის უზრუნველ ყოფს ქართველი ხალხის თავისუფალ განვითარებას. ის უზრუნველ ყოფს მის თვით-გამორკვევას. მას არაფერი საწინააღმდეგო არ ექნება, თუ საქართველო მთლათ ჩამოშორდება რუსეთს, თუ ის, მთელი ხალხის სურვილის გამოთქმით, შექმნის საკუთარ პარლამენტს, საკუთარ მთავრობას, ჩვენ, ქართველი ბალშევიკები, წინაალმდეგნი ვართ რუსეთისგან ჩამოშორების, ჩვენ ვქადაგებთ ჩვენი ხალხის მჭიდრო კავშირს რუსეთის და მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხთან, მაგრამ თუ ქართველი ხალხი მოისურვებს საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნას, ჩვენ მის ფარგლებში ვაწარმოებთ ბრძოლას გაბატონებული კლასების წინააღმდეგ. თვით ქართველი ხალხის თვითგამორკვევას კი არსაიდან საფრთხე არ მოელის.

რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება ერთათ ერთი თავდებია ამ თვითგამორკვევის განხორციელებისა, მისი სიმტკიცის და შეურყევლობის.

ვინც რევოლიუციის წინააღმდეგ ილაშქრებს, ის ძირს უთხრის ამ თვითგამორკვევასაც. ქართული ეროვნული საბჭო კი თავისი პოლიტიკით სამარეს უმზადებს ქართველ ხალხს.

ზემოთ აღნიშნულ მოწოდებას ხელს აწერს ნოე ჟორდანია, რომელიც ცნობილია ახლა, როგორც ბელადი ქართველი ხალხისა. მას დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული წარსული მოღვაწეობით, ჩვენ ვალდებულათ ვრაცხთ ჩვენს თავს განვაცხადოთ: ბრმათ მინდობა ასეთ დიდ საკითხში მიუტევებელია ჟორდანია სავსებით ასცდა ინტერნაციონალისტურ გზას და ყელამდე ჩაეფლა ნაციონალიზმის ჭაობში. ხალხმა უნდა გასინჯოს არა მისი სახელი, არამედ მისი საქმე და შესაფერათ დააფასოს იგი.

ვაცხადებთ ამას და სრული იმედი გვაქვს, ქართველი მშრომელი ხალხი იმ უდიდესი ყურადღებით მოეპყრობა საკითხს, როგორისაც ის სავსებით ღირსია. მთელი ხალხის ბედი სასწორზეა დადებული, სხვისი ხმის აყოლა აქ შეუძლებელია.

ჩვენს იმედს ვამყარებთ ქართველი ხალხის მშრომელ ნაწილზე, მის კლასობრივ ინსტინქტზე, რომლის წყალობით ის ერთხელ ასცდა ჟორდანიას მიერ ნაჩვენებ დამღუპველ გზას. ჟორდანია ომის მომხრე იყო და ამ მხრით ის პლეხანოვიდან არ განირჩეოდა. ხალხმა კი დიდ უბედურებათ აღიარა ომი და განმარტოვებული დასტოვა ჟორდანია, რომელსაც მაშინაც არა ნაკლებ ენდობოდა.

მდგომარეობა ახლა უფრო სერიოზულია. ომის ქარტეხილს გადავრჩით, მარა შეიძლება კონტრრევოლიუციის ქარტეხილმა ჩაგვნთქას. ამის უმთავრესი მიზეზი იქნება ქართული ეროვნული საბჭო და მისი პოლიტიკა. ქართველმა მშრომელმა ხალხმა უნდა დაგმოს იგი და მით თავიდან აიცდინოს უდიდესი საფრთხე, რომელიც უკვე კარზე მომდგარია.

## პროვინციალური ორგანიზაციების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! თქვენზე ირიცხება ბევრი ვალი გაზეთებისა, უმორჩილესათ გთხოვთ საჩქაროთ გაასწოროთ ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთების გზავნა შევწყვიტოთ, ვინაიდან ჩვენი გამომცემლობა ფინანსიურათ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

საგამომცემლო კოლეგია.

## ამიერ-კავკასიის კომისარიატი და მიწის საკითხი.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, როგორც წინეთ, ისე ახლაც, ბლოკია ერთი მხრით ბურჟუაზიისა და მემამულეებს შორის და მეორე მხრით რევოლიუციის მოღალატეებსა და რენეგატებს, ე. ი. მენშევიკებსა და მემარჯვენე ესერებს შორის.

სახალხო რევოლიუცია, რომელმაც თებერვალში იფეთქა, როდი ნიშნავდა ნიკოლოზ მეორის ტახტიდან ჩამოგდებას. რევოლიუციის მთავარი აზრი და მნიშვნელობა ბურჟუაზიის და მემამულეების სრულ ალაგმვაში მდგომარეობდა. რევოლიუცია ნიშნავდა მუშა ხალხის ყველა არსებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, უწინარეს ყოვლისა ყველა მიწების გლეხების ხელში გადაცემას. ღარიბი გლეხკაცობა მართლაც ასე უყურებდა რევოლიუციას, და მან ამ განზრახვით რევოლიუციის პირველ ხანებშივე შეუდგა პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჩქარა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს სათავეში მოექცა ჯერ წმინდა ბურჟუაზიული მთავრობა, ე. ი. მთავრობა შემდგარი კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან (თავადი ლვოვები და მილიუკოვები), შემდეგ იგივე მთავრობა მხოლოთ კოალიციის სახით, რომელშიაც შედიოდენ ერთი მხრით კაპიტალისტები და მემამულეები და მეორე მხრით მენშევიკები და მემარჯვენე ესერები. ეს მთავრობა მუშების და გლეხების წინააღმდეგი იყო; კიდევ მეტი, ის წინააღმდეგი იყო თვით რევოლიუციის, თუმცა სიტყვა „რევოლიუცია“ მას წამ-უწუმ ენაზე ეკერა. იგი ლაგამს უდებდა როგორც მუშებს, ისე გლეხებს. კერძოთ გლეხებს კოალიციონური მთავრობა გაჩუმებას და დაწყნარებას ურჩევდა, და თან პირდებოდა, რომ მიწის საკითხს გადაჭრის დამფუძნებელი კრება, ამიტომ გლეხები ვალდებული არიან დამფუძნებელი კრების მოწვევას დაუცადონ, მანამ კი ისინი ისევ მემამულეების კლანჭებში უნდა დარჩენ, ე. ი. სოფელში უნდა გაგრძელდეს ისეთივე ურთიერთობა მიწის შესახებ, რომელიც რევოლიუციამდე არსებობდა.

კაპიტალისტებს და მემამულეებს მენშევიკებმა და ესერებმა ძალიან გაუადვილეს თავიანთ განზრახვის შესრულება: გლეხობამ დაუჯერა მენშევიკების და ესერების სიტყვებს, რევოლიუციონური გზით მიწების დატაცებას ხელი შეაშვა და დაუწყო ლოდინი დამფუძ. კრების მოწვევას, მაგრამ ბურჟუაზია ჯერ ამაზე სრულებით არ ფიქრობდა. იყო მხოლოთ ერთად ერთი პარტია, რომელიც იმ თავიდანვე ურჩევდა გლეხებს მიწების რევოლიუციონური გზით ხელში ჩაგდებას, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ეს იყო სოც.-დემოკრატ ბოლშევიკების პარტია ბოლშევიკები სამართლიანათ ამბობდენ, რომ კაპიტალისტების და მემამულეების მთავრობა გლეხებს მიწებს არ მისცემს, ის მხოლოთ ატყუილებს გლეხებს, ვინაიდან იმათ მხოლოთ დროს მოგება სწადიათ, რომ როგორმე ბოლო მოუღონ თვით რევოლიუციასო.

ბოლშევიკების სიტყვები სავსებით გამართლდა. ხალხი დატყუილებული დარჩა, მაგრამ იგი ჩქარა მოვიდა გონს. თავისი საბჭოების საშუალებით მან გარეკა მთავრობიდან ყველა მატყუარები და მოღალატენი და იმათ ადგილზე დასვა ისინი, ვინც მართლა საქმით და არა სიტყვით იცავს ხალხის ინტერესებს. ეს მოხდა პეტროგრადში 25 ოქტომბერს, როცა იქ დაარსდა მუშების და გლეხების მთავრობა, რომლის ერთი უპირველეს ნაბიჯთაგანი იყო დეკრეტი მიწის შესახებ. ამ დეკრეტმა სამუდამოთ გააუქმა რუსეთში კერძო საკუთრება მიწაზე, ეს უკანასკნელი ამიერიდან შეადგენს მთელი ხალხის საკუთრებას. საბოლოოთ მიწის საკითხს გადასწყვეტს დამფუძნებელი კრება, მაგრამ ფაქტიურათ ამ საკითხს სწყვეტს დღეს პირდაპირ თვით გლეხობა. ასეთი მდგომარეობაა დღეს რუსეთში. რას ვხედავთ ჩვენ კურთხეულ ამიერ-კავკასიაში?

სამწუხაროთ, აქ ჯერ სანუგეშო არაფერი სჩანს. ხალხი ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს: მუშები და გლეხები თავის უმეტესობაში ჯერ კიდევ მისდევენ კუდში მენშევიკებს, მემარჯვენე ესერებს და სხვა ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ პარტიებს. ამიტომ მოხდა ის, რომ დამარცხებულნი და გაკოტრებულნი რევოლიუციის სათავეში, პეტროგრადში მოსკოვში და საზოგადოთ მთელ რუსეთში, მენშევიკები და მემარჯვენე ესერები ნაციონალისტურ ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ერთათ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში, აცხადებენ თავის თავს დამოუკიდებლათ რუსეთის რევოლიუციონური ცენტრებიდან. ისინი არ ცნობენ მუშების და გლეხების მთავრობას იმიტომ, რომ მათ არ უნდოდათ და არც დღეს უნდათ მისცენ გლეხებს მიწა, ქვეყანას ზავი და პური. აი, რისთვის გადაუდგენ ისინი რევოლიუციონურ რუსეთს და შექმნეს თავისი მთავრობები. დღეს ამიერ კავკასიაში მენშევიკები დს ესერები კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ერთათ თვლიან თავის თავს გამარჯვებულებათ. მაგრამ ისინი კარგათ გრძნობენ, რომ იმათი მდგომარეობა მეტათ უიმედოა. როგორც იცით, მენშევიკებს და ესერებს თავიანთი თავი რევოლიუციონერებათ მოქვთ და გლეხობას მიწას პირდებიან. იმათ იციან, რომ რამდენიც არ უნდა იცრუონ. ხალხს ვერ დაუმალავენ იმას, რომ რუსეთის გლეხობამ მიწა უკვე მიიღო უსასყიდლოდ. რა უნდა ქნან ასეთ პირობებში აქ, ამიერ-კავკასიაში, მენშევიკებმა და ესერებმა!—აშკარაა, რომ მარტო სიტყვებით მენშევიკები და ესერები ხალხს ახლა ვერ დააკმაყოფილებენ, საჭიროა სიტყვებიდან საქმეზე გადასვლა, და აი სად არის იმათი გასაჭირი. სანამ მარტო სიტყვებით შეიძლებოდა ფონს გასვლა, ისინი რევოლიუციონერებიც იყვნენ და სოციალისტებიც მაგრამ როცა საქმე შეიქნა აუცილებელი, მაშინ აშკარათ გამოჩნდა იმათი მოღალატეობა როგორც რევოლიუციის, ისე ხალხის წინაშე.

ამიერ-კავკასიის კომისარების სულის ჩამდგმელებმა, მენშევიკებმა და ესერებმა დღიდან ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის გამოცხადებისა, ყურები გამოგვიჭედეს იმით, რომ, ეს ამიერ კავკასიის მთავრობა ბ-ნ გეგეჭკორის მეთაურობით ამ დღეებში გამოსცემს დეკრეტს მიწის შესახებო. მას შემდეგ გავიდა ხუთ კვირაზე მეტი, და ეს დეკრეტი ჯერ არსად სჩანს. მართალია, მენშევიკების და ესერების გაზეთებში თითქმის ყოველ დღე ამოიკითხავთ ხოლმე, რომ მემარჯვენე ესერმა ნერუჩევმა *) უკვე შეიმუშავა და შეადგინა მიწის შესახებ დეკრეტი, რომელიც ამ დღეებში უნდა გამოქვეყნდესო. ასეთი დაპირებებით კვებავენ ჩვენი მენშევიკები და ესერები გლეხობას. რუსეთის გლეხობამ მიწა უკვე მიიღო საქმით, აქ კი მხოლოთ დაპირებით უმასპინძლდებიან გლეხებს. და რაც შეეხება საქმეს, ამ მხრით კარგათ მოქმედებს იმავე კომისარების საშინაო საქმეთა „მინისტრი“ ჩხენკელი. იგი ცირკულიარებს უგზავნის მაზრების და სოფლის კომისარებს იმის შესახებ, რომ არამც და არამც გლეხებმა არ გაბედონ რევოლიუციონური გზით რაიმე ცვლილების მოხდენა არსებულ ურთიერთობაში; გლეხებმა მშვიდათ და წყნარათ უნდა უყურონ, მანამ არ შეიკრიბება დამფუძნებელი კრება და არ გამოსცემს მიწის შესახებ კანონს. წარმოიდგინეთ, მანამ ჩხენკელის ცირკულიარების თანხმათ ღალის შემცირებაც კი არ შეუძლიათ გლეხებს თავისი ინიციატივით. ეს იქნებოდა თურმე რევოლიუციის დაღუპვა. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს იქნებოდა მხოლოთ მემამულეების დაღუპვა და რევოლიუციის გამარჯვება.

ასეთია მენშევიკების დს ესერების „საქმიანობა“ და ამათი სიტყვები. ისინი სიტყვით ერთს ლაპარაკობენ და საქმით კი სულ სხვას აკეთებენ. ვინაიდან ისინი შეკავშირებული არიან ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან, აშკარაა იმათ არ ძალუძთ გლეხების და მუშების მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამიტომ ისინი იძულებული არიან საქმით კაპიტალისტებს და მემამულეებს ემსახურონ, იმათი საქმე აკეთონ, მუშები და გლეხები კი მხოლოთ სიტყვებით კვებონ. რათ გაუჭირდათ, მაგ., ადგილობრივ მენშევიკებს და ესერებს მიწის დეკრეტის გამოცემა! აშკარაა იმიტომ, რომ იმათ უნდათ, როგორმე დაატყუილონ გლეხობა დაიხსნან დაღუპვისაგან მემამულეები. ამას მოწმობს მთელი იმათი მოღვაწეობა წარსულში, ამასვე ამტკიცებს მთელი იმათი ტაქტიკა აწმყოში. ჩვენ ვხედით იმათ მოღვაწეობას ფარდას. ჩვენ გვწამს, რომ იმათ მიერ დატყუილებული მუშები და გლეხები ჩქარა მოვლენ გონს და მოეპყრობიან იმათ ისე, როგორც დაიმსახურეს.

ფ. მ.

*) ნერუჩევი მიწის საქმეების მინისტ-

## რევოლიუცია და სასამართლო.

საზოგადოება არ წარმოადგენს ერთ მთელს. მის სირღმეში იბრძვიან კლასები თავიანთის მოწინააღმდეგე ინტერესებით, რის გამოც იგინი განსჭვალულები არიან სხვადასხვა ფსიხოლოგიით და სხვადასხვა უფლების შეგნებით.

გაბატონებული კლასები თავიანთ პრივილეგიებს ამაგრებენ არა მარტო სახელმწიფოს ძალების შემწეობით, არა მარტო სჯიან სასამართლოს შემწეობით იმათ, ვინც კი გაბედავს ცოტათ თუ ბევრათ შეეხოს ამ პრივილეგიებს, თანახმათ მათგანვე შეთხზულ კანონებისა— არამედ იმავე დროს ისინი სცდილობენ აგრეთვე რო ჩანერგონ ხალხის შეგნებაში აზრი, ვითომ სასამართლოების არსებული წეს-რიგი წარმოადგენს თავისით თვით სიმართლეს, ხოლო სასამართლოს დაწესებულებანი — მთელი საზოგადო ცხოვრების ღერძს, რომლის მოშლა მონგრევა მოსწავებს თვით კულტურის დამხობას.

ნამდვილათ კი ახალი კლასი, პროლეტარიატი, როგორც მატარებელი კაპიტალიზმის ხანაში უფრო მაღალ ეკონომიურ წეს-რიგისა, არის აგრეთვე დამცველი გაცილებით უფრო მაღალ უფლებრივი შეგნებისაც, ვიდრე ძველი დახავსებული და გაყინული უფლება ძველი წესწყობილებისა, რომელიც დარაჯათ უდგა მტაცებლებს და ექსპლუატატორებს.

მაგრამ პროლეტარიატი როგორც კლასი, ვიდრე კიდევ დაძაბუნებულია და ჯერ კიდევ გრძნობს კისერზე ძველი უფლების უღელს, ბატონისგან შექმნილს, ცხადია თავის თავად ვერც შეუძლია გამოხატოს სრულიათ თავისი უფლებრივი შეგნება, ვინაიდან შეუძლებელია შექნას მან ჰაერში თავისი სასამართლოს იდეალი და კანონთა დებულება და რომ

მოინდომოს კიდეც ვინმე უფლების მცოდნე სოციალისტმა წინასწარ შეადგინოს მომავალ წესწყობილების სჯულდების პროექტი, ის სხვას ვერაფერს შექმნის გარდა ფანტასტიურ სურათებისა, როგორსაც, მაგალითად წარმოადგენენ უელსის და ბელამის რომანები. ამ მხრით ცდა ბევრ გვარია. ერთმა ნახევრათ ბურჟუამ და ნახევრათ სოციალისტმა ანტონ მენგერმა გაითქვა კიდეც სახელი ამ გვარის ცდით. მაგრამ ყველა ამ გვარი ცდა მხოლოდ თეორიულ ვარჯიშობათ დარჩება.

ყოველი კლასი მაშინ ქმნის უფლებას, როცა იგი აღჭურვილია ძალა-უფლებით როდესაც იგი ჰქმნის საზოგადო საფუძველს თავის სახისა და თვისებისა ე. ი. თანახმად თავის კლასიურ ინტერესებისა და არსებულ კონკრეტიულ პირობებისა.

არც ერთ კლასს, რომ დაიპყროს კიდეც სულ ადვილათ მან პოლიტიკური ძალა-უფლება, არ შეუძლია უცბათ შექმნას ახალი საზოგადოებრივი საფუძველი. მარქსმა სთქვა: „ახალი საფუძველი იბადება ძველი საფუძველის არტახებში შეხვეული"-ო.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ახალი კლასი უნდა ყოყმანობდეს, ან ეფერებოდეს ძველ წყობილებას; მისი საქმეა ძველის დანგრევა და ახლის შექმნა, ვინაიდან ძველი უიმისოდაც გაუწევს წინააღმდეგობას.

ამ გვარათ, რევოლიუციონურ კლასს მოაქვს ახალი უფლებრივი განწყობილება, წინასწარი გრძნობა ახალი იურიდიული ურთიერთობისა და ფორმისა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან რევოლიუციის შექმნელ ახალ სამეურნეო პირობებთან; მას მოაქვს თან ახალი სამართლის სინიდისი და ახალი წარმოდგენა „კეთილზე" და „ბოროტებაზე". თვით რევოლიუცია ფაქტია, რომლითაც ახალი უფლება უპირდაპირდება ძველს. ფართო მასის სწორი სამართალი—ძველს, პრივილეგიებით სავსე სამართალს. ახალი სამოქალაქო და სისხლის სამართლის უფლების შექმნით, სახელმწიფოს ახალი საფუძველის დადებით და მართვა-გამგეობის ახალ ორგანოების მოწყობით, მათ შორის სასამართლოსიც—მაგრდება თვით რევოლიუციაც; სახეს იღებს და ხორცს ისხამს რევოლიუციაში ახლათ ჩასახული ახალი უფლებრივი შეგნება ჩასახული ახალი კლასის ინტერესების მიერ და მაშასადამე ახალი სამეურნეო გეგმის მეოხებით.

ოქტომბრის 25-ს მოხდა დიადი რევოლიუცია, რომლის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას. მშრომელმა მასამ არა მხოლოთ პირველათ გაიმარჯვა, გამარჯვება მას წინათაც ხვდომია, არამედ შეინარჩუნა კიდეც თავის ხელში გამარჯვების ნაყოფი, ვინაიდან მოკრძალებით და თავის დამცირებით მორიგ საქმეებს არ ანაცვალა თავისი ინტერესები, როგორც ეს მოხდა მარტში 1917 წელსა.

განა შესაძლებელია, რომ პროლეტარიატმა და გლეხობამ, როდესაც მათ მოახერხეს „გადატრიალება" და შეიქნენ როგორც პოლიტიკურათ, აგრეთვე სამხედრო ძალით ბატონ პატრონები, მოითმინონ, რომ კიდევ ძალაში დარჩეს ძველებური კანონი და სამართალი? განა შესაძლებელია, რომ თავის ბედის ახალმა ბატონ—პატრონმა, მშრომელმა ხალხმა, წესიერათ იცნოს ძველათ არსებული კანონი და სამართალი, რომელთა დახმარებით გამოაქვთ წმინდა ბურჟუაზიული განაჩენები, როგორც მაგალითად კაპიტალიზმის ხელშეუხლებლობა; მან რომ ამის წინააღმდეგ მიმართა-უმთავრესათ თავისი მახვილი? სენატი, ეს დამხობილი მთავრობის წარმომადგენელი, მაგალითათ, განაგრძობს ძველებურათ კანონების გამოცემას, თითქო აქ არაფერი მომხდარიყოს.

რევოლიუცია იმისთვის ხდება, რომ ახალი უფლება შეიქნას, რომ მასის ახალ უფლებრივ შეგნებას მიეცეს შეძლება გარდიქცეს სინამდვილეთ. ამიტომ ძლევამოსილი ხალხი დაუყონებლივ უნდა შეუდგეს ახალი სასამართლოს და ახალი სჯულთ-დების შექნას. ეს უნდა მოხდეს პრაქტიკულათ, პირველში დაახლოვებით სისწორით, თანახმათ რევოლიუციონურის სინიდისისა; შემდეგში კი ეს უფლებრივი შეგნება თანდათან დაიწყებს ჩამოყალიბებას განსახლვრულ ფორმებში და გარდიქცევა მშვენიერ ქანდაკებათ, რომელიც ჰარმონიულათ იქნება შეწონილი ხალხურ ახალ სასამმართლოსთან. საჭიროა დაინგრეს ერთიანათ ძველი სასამართლო, ეს იარაღი მტრისა და ჩვენი ბორკილები; აი რა შეადგენს რევოლიუციონერის პირველ მოვალეობას, რომელსაც უკარნახებს ბუნებრივიდა მებრძოლი ინსტიქტი. აქედანვე უნდა აღინიშნოს, დაახლოვებით, საერთო დირექტივები, რომელნიც დაედებიან სარჩულათ სახალხო სასამართლოს, ხოლო დანარჩენი რევოლიუციონური ხალხის შემოქმედებითი ძალის საქმეა. ბურჟუაზიამ როდესაც უკვე თანდათანობით მოიკიდა ფეხი ფეოდალურ საზოგადოებაში, აქი შესძლო კიდეც შეეცვალა ძველი რეჟიმის უფლება ახალ, რომაელების უფლებით, ცოტაოდენის შესწორებით და განახლებით, თანახმად ახალის პირობებისა. ეს შესაძლებელი შეიქნა, ვინაიდან ბურჟუაზია, როგორც ძველი რომი, ორივე ფეხებით მაგრა იდგა კერძო საკუთრების პრინციპზე. პროლეტარიატს არ შეუძლიან იაროს ნაჩვენები გზით. მის წინმსვლელობას არასდროს არ უნდა მოჰყვეს უკან დახევა, ვინაიდან პროლეტარიატის უფლებას არ ჰქონია ისტორიაში პრეცედენტი. რადგან პროლეტარიატს კაპიტალიზმის მეფობის დროს არ შეეძლო გამოეშკარავებია უფლებრივი შემოქმედების ძალა, ამიტომ იმას ერთად ერთი ის დარჩენია, რომ პრაქტიკაზე ისწავლოს, თუ როგორ უნდა მოეწყოს სამართალი და სასამართლო, რომელთა შექმნის დროს ის იხელმძღვანელებს იმავე მოძრაობის სულიერი წყაროთი, რის შემწეობითაც მან რევოლიუცია მიიყვანა გამარჯვებამდის. ამ ინსტიქტში მოსჩანს პროლეტარიატის კლასიური ხასიათი და მისი მნიშვნელობის მძლავრი ზრდა საზოგადო ცხოვრებაში.

ბურჟუაზიულმა იურისტებმა არა სთქვან, რომ ის, რაც იყო აქ ნათქვამი და რასაც ხვალ ხალხი მოიყვანს სისრულეში, არის გაუგებარი და იურიდიულის თვალსაზრისით ყოვლათ შეუძლებელი. ეს შეუძლებელია იმ ცრუ მეცნიერების თვალსაზრისით, რომელიც წარმოადგენს ხელოვნურათ აგებულ ხუხულას და რომელზედაც წამოჭიმულია ბატონების უფლება. ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერებიც კი, პატიოსნები თავიანთ რწმენაში, რომელნიც ცდილობენ იურიდიულ სწავლა მოძღვრებას სარჩულათ დაუდონ ისეთი მეცნიერებანი, როგორც ბიოლოგია, პსიხოლოგია და სოციოლოგია, იძულებულნი იყვნენ რუსეთის რევოლიუციის დაწყებამდის ჩვენს ენაზე ელაპარაკნათ. წინასწარ გაგების ნიჭით თითქო მიხვდნენ ისინი მოვლენის მნიშვნელობას.

ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს მტრებს, რათა იმათ, ვიდრე აიჩხაკუნებდენ ჩვენს წინააღმდეგ პოლემიკურ კალმებს, წაიკითხონ ზოგიერთი ციტატები მათგან ცნობილ ავტორიტეტებისა, რომელნიც თითქო გუშინ დაუწერიათო და თითქო იმისთვის არის დაწერილნი, რომ სპეციალურათ დაიცვან განახლებულ სასამართლოს ის ფორმები, რომლებსაც დღევანდელი დიადი ვითარებანი მათ აიძულებს მიიღონ. ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს მეგობრებს, ყური დაუგდონ, თუ რას ამბობენ ნამდვილი მეცნიერები,—არა „ბალშევიკები",— რევოლიუციონურ უფლებათა შემოქმედებაზე.

მაგალითად ბეროლტგეინორი, თავის თხუზულებაში სწერს სულ „ახალ უფლებაზე", რომელიც თან მოაქვს მეოთხე წოდებას; ეს ახალი უფლება იმის აზრით გამოიხატება პირველათ ბუნდოვან ფორმაში ახალ სამართლის მოთხოვნილების სახით; ის სწერს აგრეთვე გარდამავალ ხანაზე, როდესაც მძაფრათ ხვდებიან ერთმანეთს ერთის მხრივ ნაშთები ძველი უკვე გამქრალ წეს-წყობილებისა და მეორე მხრივ პირველი ფურჩქნები ახალისა. მეცნიერი მენგერი კიდევაც შეეცადა ჩამოეყალიბებინა უფლება, რომელიც ჩასახულია ახალი კლასის შეგნებაში და რომელიც ნაყოფათ უნდა იქცეს მშრომელ ხალხის სახელმწიფოში. ალლინიკი, ეს პროფესორების მასწავლებელი, სცნობს თვით ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ზოგიერთ უფლებას, რომელიც თუმცა არ არის წარმოშობილი კანონმდებლობით, იურიუდიულათ, მაგრამ ის სოციალურის მხრივ ისევე მოქმედებს, როგორც იურიდიული კანონი. კნაპპს, ფეიერბახის მოწაფეს, უკვე კარგათ ესმოდა, თუ რა განსხვავება იყო ახალი ჯერ კიდევ არა ხორცშესხმულ, უფლებაში, რომლის დროშის ქვეშ იბრძოდა ახალი კლასი, რათა განეხორციელებინა ეს უფლება და ძველ გაბატონებულ წერილობითი უფლებაში. აი ის რასა სწერს: „კითხვა უფლების შესახებ ხშირად გაისმის ქუჩებში ბრძოლის დროს, რევოლიუციაში, ან საერთაშორისო ომში და ეს უფლება თვის არსებაში შეიცავს მოწოდებას ობიექტიურ ღონის ძიებისაკენ, რომელმაც უნდა მოუპოვოს მას გარეგანი უფლება."

დღეს საქმე იმაშია, რომ, ვინაიდან ძალა-უფლება გადავიდა ახალ კლასის ხელში, ამ კლასის უფლებრივი შეგნება უნდა გარდიქცეს თვით უფლებათ ე. ი. გარეგან წერილობითი გამოხატულ კანონათ.

უფრო კი ყველაზე ნათლათ დაახასიათა „პოზიტიურ" ე. ი. დაწერილ უფლების ურთიერთობა (რომელსაც ემყარება გაბატონებული კლასი) ეგრედ წოდებულ „ინტუიტურ" უფლებასთან (რომელსაც ემყარება ახალი კლასი) ე. ი. ახალ ძალების სიმართლის იდეალთან, რუსულ ოფიციალურ მეცნიერების ბუმბერაზმა და მთელ ევროპაში ცნობილმა პროფესორმა პეტრაჟიცკიმ. ის ამბობს: „ერთ და იმავე დროს არსებობა და მოქმედება „პოზიტიურ" (დაწერილ) და „ინტუიტიურ" (ახალი კლასების იდეალი) უფლებებისა შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როდესაც მათ შორის არსებობს ასე თუ ისე რაიმე თანხმობა, და რა წამსაც კი ეს თანხმობა დაირღვევა, იმ წამსვე ხდება პოზიტიური უფლების დამხობა და თუ ამას ხელი შეეშალა მაშინ ეს დამხობა მიიღებს სოციალურ რევოლიუციის სახეს."

25 ოქტომბერს სწორეთ ასეც მოხდა. გაუგებარი იქნებოდა, რომ რევოლიუციის შემდეგ ბურჟუაზიულ „პოზიტიურ" უფლებას განეგრძო სიცოცხლე. ვინაიდგან ძლევა მოსილი რევოლიუცია იმისთვის იყო გამოწვეული, რომ ჩაეხრჩო პოზიტიური უფლება.

პეტრაჟიცკი დაწვრილებით აგვიწერს, თუ როგორ რა პირობების შეცვლის ზედმოქმედების მეოხებით იბადება მასაში ბუნდოვანი და მწვავე გრძნობა ახალ უფლების იდეალის მიმართ; ეს სამართლიანი გრძნობა იმდენათ უფრო ივსება მუქარით, რამდენათაც მას ბევრი დაბრკოლება ელობება წინ, შემდეგ ის მიდის ფანტასტიურ სიძულვილამდის არსებულ კანონის და წესწყობილებისადმი და ბოლოვდება რევოლიუციით.

პეტრაჟიცკის სრულებით არ ეშინიან იმ ექსტესებისა, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ხალხის რევოლიუციონურ უფლების შეგნებას (შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ ექსცესებს ადგილი არ ექნებათ პროლეტარიატის რევოლიუციაში): „რაგინდ საძაგლათ ამბობს პეტრაჟიცკი-არ წარმოვიდგინოთ რევოლიუციის გილიოტინები და კულტურული ცენტრის და პერიფერიების დარბევა, უნდა გვახსოვდეს რომ ეს შედეგია ხალხის შელახულ გრძნობისა და მის სტიქიური შურის ძიებისა მისი უფლების გათელვისთვის" ე. ი. ხალხის ინტუიტიური უფლების შელახვისა.

შედეგი ნათელია: ხალხს თან დააქვს ახალი ინტუიტური უფლება, რომელიც მოითხოვს, რომ მან, ხალხმა, პირველ ყოვლისა დაანგრიოს ძველი უფლების ყველა ორგანოები, რომელთაც იგი სთვლის ერთ უდიდეს უსამართლობათ.

ამ ინტუიტიურმა უფლებამ, როგორც გამომხატველმა მასის კლასიური ინტერესებისა, შეფარდებულმა ახლათ წარმოშობილ საწარმოვო ურთიერთობასთან შეიძლება მიიღოს ნათელი და სრული გამოხატულება მხოლოთ პრაქტიკულის შემოქმედებით რევოლიუციონურ პროცესში. ასეთია რევოლიუციის კანონი და პირველ ყოვლისა დიადი კატასტროფებისა, რომელთაც პრეცედენტი არა ჰქონიათ.

ძირს სასამართლო-მუმია, ძირს მკვდარი უფლების საკურთხეველნი! ძირს სისხლის მწოველნი მოსამართლენი, რომელნიც კაპიტალის ახალ სასაფლაოზედაც მზათ არიან განაგრძონ სისხლის ამოწოვა ცოცხალ სხეულიდგან!.

გაუმარჯოს ხალხს, რომელიც თავის მჩქეფარე და ცხოველმყოფელ სასამართლოებში ჰქმნის ახალ უფლებას, როგორც ყველასათვის ერთნაირ სამართალს და როგორც მშრომელთა ერთობის და ძმობის უფლებას.!

ა. ლუნაჩარსკი.

## დამფუძნებელი კრება და კონტრ-რევოლიუციონერები!..

როდესაც კონტრ-რევოლიუციონერები ღალატით, სიყალბითა და სიცრუით ფონს ვეღარ გავლენ, ამოეფარებიან სხვის წმინდათა-წმინდას, გადაიცვავენ ქურქს და რევოლიუციას ახალი გზით შეუტევენ. დიდი ხანია რაც ბალშევიზმი მჭიდროთ იდგამს ფესვებს ყველა ჯურის მშრომელ-ღატაკ მასაში. ბალშევიზმს ეცნობა, ეხმატკბილება და უმეგობრდება ყველა შეგნებული მუშა, ბალშევიზმში ხედავს თვისი ოცნების განხორციელებას სოფლის ღატაკი მიწის მუშა-გლეხი. ბალშევიზმი იქცევს დღეს ყველას ყურადღებას. ამას კარგათ გრძნობენ კონტრ-რევოლიუციის სულის ჩამდგმელები ხალხის მტერი—კადეტების პარტია და ამიტომაცაა, რომ მათ ყოველგვარ საშუალებას მიმართეს რევოლიუციის დასახრჩობათ. ჩვენ ხალხის მტერს და ბურჟუაზიის მეგობრებს—კადეტებს კარგათ ვიცნობდით და ვიცნობთ, ვიცით მათი ბრძოლის საშუალე-

ბანიც. მაგრამ ოქტომბრის ცვლილების შემდეგ ჩვენს ყურადღებას იპყრობს მენშევიკებისა და ესერების სავსებით გაკონტრ-რევოლიუციონერება!

ჩვენ არას ვიტყვით იმ შაგრაზმულ დემაგოგიის და ლანძღვა-გინების შესახებ, რასაც ისინი თავიანთ ყვითელ ორგანოებში სჩადიან ბალშევიზმისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ, არას ვიტყვით არც იმ ღალატზე, რაც მათ „ნებით თუ უნებლიეთ“ მიუძღვით რევოლიუციისა და თავისუფლების მიმართ!., ვიტყვით მხოლოთ მას თუ რა რიგათ სურთ კონტრ-რევოლიუციონურ „შირმათ“ გამოიყენონ ხალხის დიდი ხნის ცდის წმინდათა-წმინდა დამფ. კრება. დიდი ხანია ფიქრობდენ კადეტები ბალშევიკების ლიკვიდაციას. მოსკოვში რევოლიუციის გამყიდველმა მილიუკოვმა ხმა მაღლა გაახცადა, რომ პირველათ ლენინის დატუსაღებით უნდა დავიწყოთ ბალშევიკების განადგურებაო! ვის არ ახსოვს ივლისის შეთქმულება, რომელიც კადეტებმა და კორნილოვებმა—მემარჯვენე მინისტრ ესერებთან ერთათ მოაწყვეს. სიკვდილით დასჯა „ურჩი“ ჯარისკაცების! დარბევა და აწიოკება ყველა ბალშევიკური ორგანიზაციების, სადაც კი ისინი მოიპოებიან,—აი რა ათქმევინეს კადეტებმა და შემთანხმებლებმა რუსის ჯარის პირველ „სალდათს კორნილოვს“ ივლისისა და აგვისტოს დღეებში... ჩვენმა დევნა-შევიწროებამ ერთის მხრით ხალხს აჩვენა თვით რევოლიუციის დევნა შევიწროებაც. ხალხმა თავისი მტრები პირდაპირ დაინახა. კადეტებს და ესერ-მენშევიკებს ნიადაგი გამოეცალათ. მათ დაკარგეს ყოველგვარი ხალხის გასაბრიყვებელი საშუალება! მხოლოთ თვითონ კი ხავს ეკიდებიან და უკანასკნელ „შირმათ“ დამფუძნებელ კრებას იყენებენ!

ჯერ 40 დეპუტატიც არ შეგროვილა ნამდვილი მანდატებით და რუდნევ-ჩერნოვები დამფ. კრებას ხსნიან! მოგეხსენებათ არჩეული დეპუტატის პიროვნება ხელშეუხებელია! მასთან ისინი დამფ. კრების დეპუტატებია და აბა როგორ შეიძლება მათ ხელი ახლო, თუნდაც ყოველგვარი უკანონობაც კი ჩაიდინონ!.. ასე ფიქრობენ კადეტები, ასე ამტკიცებენ მენშევიკ ესერები და მილიუკოვ-ჩერნოვის ხელშეუხებლობას ესარჩლებიან! რასაკვირველია, როცა ჩვენ გვერეკებოდენ და გვარბევდენ, თურმე პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა მაშინ მენშევიკებს არ ეწერათ პროგრამაში! რათ ამოეფარენ ხალხის მტრები ასე აჩქარებით დამფუძნებელი კრების კარებს? რა უნდა გადაწყვიტოს ხალხისთვის ასე ნაჩქარევათ ცნობილმა „ორ სკამ შუა მოტრიალე“, ყოფილმა კერენსკის მინისტრმა, ვიქტორ ჩერნოვმა—რომელსაც ოც კაცთან ერთათ სურს დამფუძნებელი კრების სახელით გააბათილოს სახალხო კომისარების უფლება, რასაც მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი ზურგს უმაგრებს!.. ჩვენ გვესმის კარგათ, რათ დისჭირდათ ეს ამ უზურპატორებს! მაგრამ ვერ ხედავს ამას გზა დაბნეული და თვალებ ახვეული ჩვენი ობორონცების „ერთობა“, რომელიც თითქმის ყოველ პერიოდულ გამოსვლებში შავრაზმულათ მოუწოდებს თანამგრძნობლებს ბალშევიზმისა და სახალხო კომისარების წინააღმდეგ ამხედრებისათვის. (ამ მხრით, მეტათ საყურადღებოა 9 დეკ. „ბორბა“ და 10 დეკ. „ერთობა“ ავტ“.) ვის დასცინიან ეს გაკოტრებული ორგანოები? თავის თავს, თუ იმ შეგნებულ მუშათა რაზმს, რომელიც ბალშევიზმის ავანგარდში სდგას!..

რათ დაიხვეწს თითქმის უზურპატორის უადგილო „თაობირის“ გარეკა თითზე ამ ვაჟბატონებმა? როდის იყო, რომ ასე თავგამოდებით იცავდა ეს გაუბედურებული ხალხი რუდნევისა და მილიუკოვის ხელშეუხებლობას? მაგრამ კმარა! დამფუძნებელი კრების დიადი ხალხური მნიშვნელობა კარგათ მოეხსენება იმ ხალხს, რომელიც თავს იდებდა ყოველთვის მისთვის და რომელმაც ის მხოლოთ დანიშნულ ვადაში მოიწვია! დამფ. კრება გამყიდველებისათვის „შირმათ“ ვერ გამოდგება. რევოლიუციონური დემოკრატია ამის უფლებას არავის მისცემს! ვინც შესძლო მისი მოწვევა, ის მის გახსნასაც შესძლებს! თქვენ კი, უბადრუკნო, იქაქანეთ მანამდი, სანამ სავსებით არ გაკოტრდებით და უკანასკნელი მიმდევარიც არ ჩამოგცილდებათ!..

გედი—მ—სტი.

## კარაულოვის მოკვლა.

(დეპეშა როსტოვიდან პირდაპირი მავთულით).

14 დეკემბერს ადგილობრივი დროებითი მთავრობის ერთ ერთ დაწესებულების გამგეს როსტოვიდან პირდაპირი მავთულით შემდეგი აცნობეს. „გუშინ სადგურ „პროხლადნაიაზე“ მე-4 მატარებლით მიმავალმა უფის მე-280 დრუჟინის სალდათებმა მოახდინეს თვითგასამართლება: მოკლეს ატამანი კარაულოვი, მისი ძმა, მისი მცველი ორი აფიცერი და ერთი კაზაკი. ამის შემდეგ დრუჟინამ ხელთ იგდო მატარებელი და სად. გეორგიევსკისაკენ გაემგზავრა.

## საყურადღებოთ.

ადგილობრივ ობორონცულ პრესაში გავრცელებულია ყალბი ცნობები ბალშევიკურ ორგანიზაციაში არსებულ უთანხმოების შესახებ. საზოგადოთ და კერძოთ ამხ. ცინცაძის, კუზნეცოვის და პისკუნოვის შესახებ. კავკასიის ბალშევიკური ცენტრი ადგენს: არც ერთ წევრს ჩვენი ორგანიზაციისას 29-30 ნოემბ. ამბების დროს ჩვენი დადგენილება არ დაურღვევია; ამხ. ცინცაძეს, კუზნეცოვს და პისკუნოვს ბალშევიკური ცენტრის მიერ დავალებული ქონდათ 29 ნოემბერს მიეღოთ ზომები ე. წ. წითელ გვარდიასა და არსენალელთა შორის მშვიდობიანათ საქმის მოსაგვარებლათ, ამ დელეგაციას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია იმ ავტომობილთან, რომლითაც იმავე დროს არსენალთან მიიტანეს ტყვიის მფრქვეველები სალდათებმა.

6 დეკემბ. როცა ჩრდილო კავკასიის დელეგატი მოხსენებას აკეთებდა, სალდათთა დეპუტატების საბჭოს წევრმა დ. ხართიშვილმა მომხსენებელს ამხ. ტკაჩევის მოხსენებას უწოდა პროვოკატორული. ამის გამო მთავარ სახელოსნოს ბალშ. ფრაქციამ ერთხმათ სცნო ხართიშვილის საქციელი ხულიგანურათ, რაც ეუწყა სახელოსნოს ყველა ამხანაგებს, ადგილობრივ აღმასრ. კომიტეტს.

# ქრონიკა

**თფილისის ქალაქის თვითმართველობის ყველა მოსამსახურეებს და მუშებს.**

17 დეკემბერს 1917 წ. დილით ათ საათზე დანიშნულია არჩევა წევრების მუშათა საბჭოს დეპუტატების ქალაქის თვითმართველობის შენობაში.

ამხანაგებო! ბალშევიკების ჯგუფი მოგიწოდებთ ხმა მიეცით შემდეგ პირებს: 1. სოლოვიანს ა. ა., 2. აპრიამოვს ლ. ა., 3. პალაეეროვს ფ. ფ., 4. სიდომონიძეს ვ., 5. მანდენოვს, 6. ლისინოვს, 7. ალავერდოვს, 8. გოლოვასტიკოვს 9. პუგრენკო და 10. ნალბანდიანს ა. მ.

---

გაზ. "ერთობის" გადმოცემით ხვალ 17 დეკემბრისთვის მოწვეულია ქ. თფილისში ამიერ კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა საოლქო ყრილობა.

# პროვინცია.

## მენშევიკები მუშა კლასის წინააღმდეგ.

ნათქვამია „კუზიანს სამარე გაასწორებსო“, სწორეთ ეს ითქმის დღეს ჩვენს მენშევიკებზეც. მაგ უბადრუკთ ჯერ ის არ მოუნელებიათ, რაც რო ჩაიდინეს ამ რვა თვის რევოლიუციის განმავლობაში ბურჟუაზიის ლაქიობით მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის საწინააღმდეგოთ და ეხლაც განაგრძნობენ თავიანთ დამღუპველ პოლიტიკას მათ არაფერი დარჩენიათ თავშესაფარი მთელ რუსეთის რესპუბლიკაში გარდა ქუთაისის გუბერნიის გლეხობისა, სადაც მათ ყავთ აუარებელი ლაშქარი დემაგოგთა. დაწყებული გუბერნიის კომისარიდან უბრალო მილიციონერამდე. მერე როგორ აუხვიეს მათ თვალი? რევოლიუციონური სოც. დემოკ. ბალშევიკების, პეტროგრადის მუშების და ჯარისკაცების გინებით. მათი გამარჯვება მოხთა იმ კუთხეებში, სადაც ჩვენ არ გვყავდა არც შეარაღებული და არც უიარაღო ძალები მათი დემაგოგიის ასალაგმავათ. რომ ხალხს გაეცნო მათი ფიზიომომია, თუ ვინ არიან ეს ლურჯი სოციალისტები, რომლებიც სარგებლობენ სოც. დემოკ. სახელით განსაკუთრებით სამეგრელოს მასაში. ის პარტია, რომელიც გამოეყო რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას ჯერ 1903 წელს, ეს პარტია მენშევიკების, პარტიაა რყევის, მონობის და მაჭანკლობის. აბა გადავხედოთ მათი ორგანოებს თუ როგორ უცხადებენ ბრძოლას ოქტომბრის ე. ი. მუშათა და გლეხთა რევოლიუციას. გადაავლოთ თვალი გაზეთ „ერთობას“ ქუთათურ სოც. დემოკრატს“, თუ რამე განსხვავებაა მათ და კონტრ-რევოლიუციონერი კადეტების შორის. როგორც ებრძვიან კადეტები მუშათა კლასს, ისე ებრძვიან მენშევიკებიც. უცხადებენ კადეტები უნდობლობას საბჭოების მთავრობას, უცხადებენ მენშევიკებიც. მაშრა განსხვავებაა მათ და კონტრ-რევოლიუციონერ კადეტებ შორის? არაფერ საქმით იგივე კადეტები, იგივე კონტრ-რევოლიუციონერებია ჩვენი მენშევიკებიც მიუხედავათ იმისა, რომ მათ ორგანოებს პირველ გვერდზე აწერია „რუს. სოც. დემოკ. მუშათა პარტია, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“

მენშევიკებმა შექმნეს კოალიციონური ბურჟუაზიული მთავრობა მოღალატე ვექილი კერენსკის მეთაურობით, რომელმაც მიიყვანა რუსეთი დაღუპვის კარამდე ხალხის სისხლის მსმელი მილიუკოვი გუჩკოვის ლაქიობით.

მაგრამ რას ვხედავთ ოქტომბრის რიცხვებში? რევოლიუციონურმა მუშებმა და ჯარმა როგორც ნიკოლოზი, არც მისი მოადგილე დაინდო. ხალხის მოღალატეებს თვით ხალხმა დასცა თავზარი, მოსპო მათი მთავრობა და თვითონ აიღო ხელში მთელი ძალა უფლება, რომელიც უკვე განაგებს ხალხის საბედნიეროთ მთელ საქმეს. აი, ამ დღიდან ჩაბარდა მონობის ისტორიას მენშევიზმი რუსეთში. გადავხედოთ ეხლა ამიერ კავკასიას და კერძოთ საქართველოს.

რუსეთში გაკოტრებულს ვითომდა აქ უპოვნიათ სადგური. მათ აქ მონახეს ნაცვლათ რუსეთის დიდი მილიუკოვების პატარა სომხების, თათრების და ქართველების მილიუკოვები. იმ დროს როდესაც რუსეთის მართვა-გამგეობა მშრომელმა დემოკრატიამ ხელში აიღო, ყველა დამონებულ ერებს სრული თავისუფლება მიანიჭა, აი ამ დროს იწვევენ ჩვენი კოტრი მენშევიკები ინტერპარტიულ საბჭოებს, შემდგარს ქართველ-სომეხ-თათრების კონტრ რევოლიუციონერებისაგან და მათთან ერთად შეხმატკბილებით განაგებენ ვითომდა ამიერ-კავკასიის მშრომელი დემოკრატიის ბედ-იღბალს. ნაცვლათ კერენსკის მთავრობისა გეგეჭკორის მთავრობა. მათ უკვე დაინაწილეს მინისტრის პორთფელები, უკვე ყავთ შრომის მინისტრები. კითხეს თუარა შრომის შვილებს მისი დანიშვნა, როდესაც მას ყავს ნამდვილი მისი ინტერესის დამცველი ოქტომბრის დღეებში მოპოებული?

ყავთ აგრეთვე სამხედრო მინისტრიც, კითხეს თუარა ჯარისკაცებს და მატროსებს, მათ ბრძანებას ღებულობენ თუარა. არც პირველს და არც მეორეს. მაშ არც ერთი ხართ და არც მეორე, არამკითხე ვაჟბატონებო.

ნუ გგონიათ რაც არ გაგივიდათ რუსეთში არ გაგივათ კავკასიაში. კავკასიის ყველა დაჩაგრული ერები რუსეთთან ხელიხელ ჩაჭიდებული იბრძვის საერთო მიზნის მისაღწევათ. რუსეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა და ჯარმა დაამხო რუსეთში კოალიცია ბურჟუაზიისა. მაშ ის დამხობილია ამიერ კავკასიაშიც.

გაუმარჯოს მუშათა სალდათთა და გლეხთა საბჭოების მთავრობას. გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას, გოგორც რუსეთში ისე ამიერ კავკასიაშიც.

ზუგდიდელი ისაკო.

# პრებები და მიტინგები.

16 დეკემბერს, შაბათს დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკების) მეორე რაიონის იაჩეიკების ორგანიზატორების კრება, ელისაბედის ქ. № 10, საღამოს 7 საათ. ვთხოვთ ამხ. არ დაიგვიანონ.

მეორე რაიონის ბიურო.

---

დღეს, 16 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში მოხდება მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს მუშათა სექციის საერთო სხდომა. იმ მუშებს, რომელთაც დელეგატების ხელახალი არჩევნები არ მოუხდენიათ უნდა გამოგზავნონ საბჭოს ძველი წევრები.

დღის წესრიგი: 1. დელეგატების არჩევა მუშათა დეპუტატების საბჭოთა საოლქო ყრილობაზე. 2. მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა არჩევა და სხვა...

---

— კვირას 17 დეკემბერს დილით 10 საათზე ხელოსანთა კლუბში—მიხეილის პროსპ. № 68 შესდგება საზოგადო კრება პროფესიონალ. საზოგადოებისა „ნემსის პროლეტარები“ (მკერავები, მექუდეები და სხვები).

დღის წეს-რიგი:

1. გამგეობის არჩევნები.
2. მუშათა საბჭოს დეპუტატების ხელახალი არჩევნები.
3. სრულიათ რუსეთის სიეზდის დელეგატის არჩევა.
4. საოლქო ყრილობის დელეგატის არჩევა.
5. სარევიზიო კომისიის არჩევა.